№ 54. 13 მარტი, კვირა. 1866—1883 13 მარტი, კვირა. № 54

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"

„დროების" ფასი:

მთელ წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსი თვისა . . . 5 მან. | ერთი თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი, ნეკროლოგისთვის ასოთი სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ტელეგრამები „დროებისა" [illegible]

ტელეგრამა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

რუსეთიდამ

11 მარტს

პეტერბურღი. ხმა არის, რომ კავკასიაში ნამესტნიკობა კვლად დაარსდება და ნამესტნიკად დაინიშნება ერთი წარმომადგენელთაგანი საიმპერატორო გვარისა. გუშინ გერმანიის იმპერატორის დაბადების დღეს იყო სადღესასწაულო სადილი, რომელზედაც დაესწრო გერმანიის საელჩოს წარმომადგენელნი, მინისტრი სამეფო კარისა და უცხო ქვეყნების საქმეთა —სულ ორმოცი კაცი. ხელმწიფემ წარმოსთქვა სადღეგრძელო გერმანიის იმპერატორისა; დღეს იქმნება გამართული სადღესასწაულო სადილი გერმანიის საელჩოში.

საზღვარ გარეთიდამ

11 მარტს

რომი. იტალიის კოროლის წარმომადგენლად რუსეთის ხელმწიფის გვირგვინის კურთხევაზედ იქნება პრინცი ამედეო.

პეტერბურღის ბირჟა, 11 მარტს.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა —	96 —	„
მეორესი — — — —	93 —	12
მესამესი — — — —	92 —	„
მეოთხესი — — —	92 —	„
მეხუთესი — — —	92 —	„
აღმოსავლეთის პირვ. —	91 —	75
აღმოსავლეთის მეორე	91 —	62
აღმოსავლეთის მესამე	91 —	87
ოქრო, ½ იმპერიალი	8 —	23
შინაგანის 5% სესხის ბილეთები:		
პირველი სესხის — —	219½ —	
მეორე სესხის — —	211 —	„
100 მანეთი ღირს:		
ლონდონი — —	24 —	„ პენსი
ჰამბურღი — —	204¼ —	ცენტი
პარიჟი — — —	252 —	„ სანტიმი

უსარგებლო ხარჯი

ტფილისი, 12 მარტს.

„მოსკოვის ტელეგრაფი" გვაცნობებს, რომ „პალესტინის საზოგადოების"-გან განზრახული აღწერა იერუსალიმის, სინაიის და ათონის მონასტრებში დაცულ საქართველოს ისტორიის მასალათა დაიწყება ამ გაზაფხულშიო. ამ საქმის თაოსნობა, როგორც შეუტყვია მოსკოვის გაზეთს, მინდობილი ექნება მართლ-მადიდებელ მისსიის უფროსს იერუსალიმში.

ეს კარგი და პატიოსანი. თაოსნობა და მფარველობა ამა საქმისა ვისაც უნდა ჰქონდეს, მაგრამ შეიძლება იგივე ითქვას იმ პირზე, რომელმაც უნდა მოახდინოს ამ ისტორიულ ნაშთთა აღწერა. ვის მიანდო, მართლა, „საზოგადოებამ" ისტორიული მასალების აღწერა? ჯერ დ. ზ. ბაქრაძეს მისცეს წინადადება ამ საგანზე, მაგრამ როგორც პირადად გაგვიგონია ბ-ნი ბაქრაძისაგან, იმას ისეთი პირობები დაუდვეს, რომლის მიღება შეუძლებელი იყო მისთვის. სხვათა-შორის მოსწერეს პატივცემულ ისტორიკოსს, გინდა თუ არა იანვარში დაიწყე აღწერაო და უთუოდ ოთხს თვეზე გაათავე მთელი საქმეო.

ამ ოთხს თვეზე ბ-ნს ბაქრაძეს უნდა მოევლო ყველა ეს ადგილები, გაესინჯა ბიბლიოთეკები, შეედგინა მათი კატალოგები, გადმოეწერა რაც რამ შესანიშნავი წარწერა იქნებოდა და სხვ. და სხვ. ბ-ნმა ბაქრაძემ ვერ მიიღო ეს წინადადება „საზოგადოებისა". სხვათა პირობათა შორის მან ითხოვა, რომ არავითარის ვადით არ შეეკრათ ის, თუ დაბოლოებითად მიანდობდენ ხსენებული ადგილების აღწერას.

ბაქრაძეს თავისი პასუხის პასუხი არ მოსვლია ჯერ კიდევ. ხმა დავარდა და ერთს გაზეთში კიდეც გამოაცხადეს, რომ ამ აღწერას ა. ცაგარელს ანდობენო. შეიძლება ეს მართალიც იყოს.

ჩვენ პირადად დიდი პატივის მცემელნი ვართ ბ-ნი ა. ცაგარლის ღვაწლისა ჩვენი მწერლობის და ენის შესწავლის ასპარეზზე. მაგრამ, გატეხილი უნდა მოგახსენოთ, თუ ეს ხმა მართალია და იმისთვის მიუნდვიათ აღწერა წმიდა ადგილის ბიბლიოთეკათა, ბ-ნ ცაგარელს არა თავის საქმისთვის მოუკიდნია ხელი. ძველი ხელთ-ნაწერი წიგნების წაკითხვა, მათი გარჩევა და ანბანების დაკვირვებით შეტყობა იმ დროების, რომელშიაც დაწერილა ეს წიგნი ერთობ ბევრ სპეციალურ ცოდნას და ცოდნაზე უფრო ერთობ ბევრ პრაქტიკას ითხოვს, რომელიც ბ-ნ ცაგარელს არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც მისი ხელობა, როგორც ქართული ენის მასწავლებლისა, სხვაა და ისტორიკოსის და ხელ-ნაწერ—წარწერების მჩხრეკელ პირთა სულ სხვაა. აქ არც ქართულის ცოდნით შეიძლება საქმის გატანა, არც ისტორიული ცნობებით, არც ნიჭით. გამოცდილება მართებს იმ პირს, რომელიც კისრულობს ამ პასუხ-საგებ მოვალეობას.

თურმე პლატონ იოსელიანიც იყო გაგზავნილი ნეტარ-ხსენებულის მარანცოვისაგან პორტაიტის ბიბლიოთეკაში და, ვინ არ იცის, რაც ხეირი დააყარა მისმა რიტორებამ ჩვენს მწერლობას და ისტორიას.

საქმე იმაში კი არ არის შემოიარო ყველა წმიდა ადგილები, აღწერო შენი მოგზაურობა—სად როდის მიხველი, ვის რა უთხარი, ვინ სად დაგხვდა და შეიტყო რამდენი წიგნებია რიცხვით ხსენებულ ბიბლიოთეკებში! საქმე, ისაა რომ შენი მოგზაურობით შესძინო ერთი გვერდი მაინც ჩვენს მრავალს ფურცლოვანს ქართლის ცხოვრებას, აღადგინო ერთი ისტორიული პირი, ერთი დრო, ერთი შემთხვევა.

ვისაც ეს იმედი არა აქვს ის ცუდს იზამს, რომ „საზოგადოებას" გააწევინოს უსარგებლო ხარჯი.

სამრევლო მზრუნველობა

ჩვენ ხშირად შორიდამ ვუჩივით და დავცინით ქართველობაში გავრცელებულს დაუდევრობას, საზოგადო საქმის უზრუნველობას, მოუხერხებლობას და უცოდნელობას. საზოგადო საქმე თუ არის გასაკეთებელი რამე, ჩვენ ასე გვგონია, რაკი მარტო ამ საქმეს შეუდგებითო და კარგად შევამუშავებთო, თუ გულ-მოდგინედ მოვეპყრობითო და შრომას გავწევთო, საქმე კარგად გაკეთდებაო. ეს გულ-მოდგინება და შრომა ყოველთვის და ყოველს საქმეში აუცილებლად საჭიროა, ამას რაღა თქმა უნდა.

მაგრამ არის კიდევ მეორე მხარე ცხოვრებაში, რომელიც დამხმარე, შემწეენი და ბოლოს მიმდევნია ყოველ საზოგადო სასარგებლო საქმისა. ეს ის მხარეა, როდესაც რომელსამე ხალხში ჩვეულება, ადათი, საერთო ხასიათი გავარჯიშებულა საზოგადო საქმის კეთებაში და ცხოვრებაში დამკვიდრებულა.

დღეს ჩვენ აშკარადა ვხედავთ თითქმის ყოველ საზოგადო საქმეში, რა ნაკლებად არის ქართველობა გავარჯიშებული საზოგადო საქმის წაყვანეში. დავასახელოთ რამდენიც გინდათ მაგალითები.

„დროების" ფელეტონი, 13 მარტს.

პატარძალი

(სოლომონის ნაამბობი.)

ბევრი უშალე ბატონსა,
არ იქნა, არ დამიჯერა;
ქერპივით თვითონ გადაჭრა
იმ ქალის ბედი და წერა.

—

მიბრძანა: ჩემო სოლომან,
უნდა მოეგო გონსაო!
ძალ-რბილი მაინც შერჩება,
თუ დაუდნობენ ქონსაო.

—

ჩემივე რჯულის კაცია,
ამით მაინც სჯობს სხვასაო;
ხმელეთი საზურთაოდ აქვს!...
ნავებით ჭედავს ზღვასაო.

—

ფიცითი ალთქმაც დამიდვა,
პირობას მაძლევს დიდსაო;
ჩვენს შუა თვითონ აგებს
შემაერთებელ ხიდსაო.

—

გადარჯულ-გადმორჯულებას
არც მე ვსთხოვ, ვერც ის მკადრებსო,
იცის სიმამრის პატივი,
მე სხვებს არ გამიყადრებსო".

—

შევჰყვირე: „ცხრა-მთა გადაღმელს
ნუ მიენდობი სიძეს-თქო,
მისს ბუნებაში და შენში
დიდი საზღვარი რამ ძევს-თქო."

—

არ გამიგონა ბატონმა,
გადაიხადა ქორწილი,
და იმ ღამესვე ასრულდა
ჩემი ნათქვამის ორ-წილი:

—

შეურცხვა იმას მზეობა!...
თურმე პირ-ბადე ეფარა:
ქალი მოახლედ უნდოდა
და სიძედ შემოგვეპარა.

—

ხელში ჩაიგდო თუ არა,
ლეჩაქი გადაახია!....
ყოველი კერპი მამისთვის
ამ გვარი ბედი ახია!

—

მაშინ კი ბრძანა ბატონმა:
„სოლომან მოგვაღორესო,
მაგრამ დღეს ნუღა ვეძებით
ჩვენ ტყვილა ლობე-ყორესო.

—

ფიცის ფურცელი ხელში მაქვს,
ზეცას წავიღებ ამასო,
სამაგიეროს იქ მოვსთხოვ,
იმ დიდ ზეციერ მამასო!"

—

ეს რომ სთქვა დაბლა დაეცა,
სიჩქარით სული დალია
და ნათლის სვეტი იმის გვამს
დაადგა თითქოს ალია!

—

ჩვენც მომაკვდავის სიტყვები
გულს დაგვეწერა ყველასა;
ზეცას ვუჭვრეტდით და იქაც
ვხედავდით ცის-სარტყელსა.

აკაკი.

* * *

საკვირაო მასლაათი

კისრული

შიშითა და კრძალვით შევუდგები იმ მეტად მძიმე თანამდებობის ასრულებას, რომელსაც ხელი მოვკიდე. გატეხილს მოგახსენებთ, ჩემს დღეში საარშიყო და სამიჯნურო უსტრების მეტი სალიტერატუროდ ჯერ ერთი სტრიქონიც არ დამიწერია. მაშ ვინ

აი, ვთქვათ სოფლის მოხელეების არჩევა: სოფელს მინდობილი აქვს კანონისაგან, ამოირჩიოს თავისი მამასახლისი და მოსამართლეები, ამუშაოს თავისი შემოსავალ-გასავლის ანგარიში. რა მდგომარეობაში ვხედავთ ამ საქმესა? ზოგჯერ უეზდის ადმინისტრაციას კარგა ვერ მიჰყავს ამორჩევის საქმეო, ვეთანხმებით ამის მთქმელსა; მაგრამ ყველგან ასე ხომ არ არის? ბაბედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაგალითად ტფილისის გუბერნიაში, უმეტეს ნაწილად სოფლები ამ ნაკლულევანებას მოცილებულია, საქმე მოხელეების არჩევისა კი ცუდად მიდის, სოფლის მართვის და ანგარიშების უფრო ცუდად.

ავიღოთ, სხვა მაგალითი,—სასოფლო ბანკების ანუ ესრედ წოდებულ სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა დაწესება. ორ სამ ადგილს გარდა, კარგა ვერ წავიდა ამათი ბოლო, საქმეები არივ-დარივეს, ვერ გაუძლვენ თვით სოფლები და ბოლომოეღოთ, თუმცა კი ხაზინა ფულით თავის შემწეობასა აძლევდა.

აი, კიდევ. სოფლის საზოგადო შენობის აგება, ეკკლესიისა, სასამართლოსი, სკოლისა ხომ უფრო ხელმოსაკიდებელი საქმეა; ესეც კი ვერ აუსრულებია სოფელსა, თითო-ოროლ ადგილს გარდა, და ესეც ორიოდე კაცის თაოსნობით.

გადავიდეთ მომატებულად განვითარებულ საზოგადოებაზე, ჩვენს თავად-აზნაურობაზე, თუ იქაც ეს არა ვნახოთ ყოველს საქმეში. ზოგჯერ სურვილი გვინახავს, ლაპარაკიცა, მაგრამ საქმე კი არ ასრულებულა. ჩვენს მწერლობაში ამ უკანასკნელ ხანში საკმაოდ ლაპარაკი ყოფილა და არ გავიმეორებთ.

რა უნდა იყვეს მიზეზი, რომ საზოგადო საქმის კეთებას ვერ ახერხებს ქართველობა?

ის მიზეზი, რომ არ შეჩვეულა, არ უვარჯიშნია.

ამ შეჩვევას და ვარჯიშობას ბევრი რამ აბრკოლებს, მაგრამ შესანიშნავია ერთი რამე, ჩვენი ხასიათიც.

სოფელში იყვეს, თუ ქალაქში, გლეხობაში, თუ მაღალ წოდებაში— ერთი რამ ყველასთვის ცხადი სასარგებლო საქმის დაწყება, ჰბადებს ათას გვარ ბაასსა. ერთს ერთი მოსწონს, მეორეს სულ სხვა, მესამეს—მესამე და ერთობა, თანხმობა არა ჩნდება; დედა-აზრი საზოგადო საკეთილო საქმისა იხლართება, ბნელდება და ქრება. მერე იბადება სხვა წინადადება, მეორე, მესამე, მეოთხე, სულ ერთი-ერთმანერთზე წვიმის ბუშტებივით ქრება.

ამას კი არა ფიქრობს ჩვენი საზოგადოება და საერთოდ ქართველობა, რომ საზოგადო საქმეები ერთი მეორის დამხმარეა, ერთი მეორის შემწევნია, მხრის მიმცემია. ერთი რამ, რაც კი დროთა ვითარების გარემოებით დღეს შეიძლება გაკეთდეს, კაცი არ უნდა თავს ანებებდეს და იძახდეს „არა ხვალინდელი ქათამი, დღეინდელს კვერცხს მირჩევნიაო“, როდესაც რომ „ხვალე“ ხშირად საქვეყნო საქმეში „დღევანდელ დღეს“ ხელში არ უჭირავს, არამედ ბევრს ისტორიულს და სხვა-და-სხვა გარემოებაზეა დამოკიდებული.

მაგალითად ჩვენ მოვიყვანთ „**დებულებას სამრევლო მზრუნველობაზე მართლ-მადიდებელ ეკკლესიებთან**“. უმაღლესად დამტკიცებულს 2 აგვისტოს 1864 წ. (ამ „დებულებას“ სრულად დავბეჭდავთ შემდეგს ნომერში).

ეს „დებულება“ ჩვენს სოფლებში და ქალაქებში დღეისამდე უქმად დარჩენილა და არსაიდამ ცნობა არა გვაქვს-რა, რომ რომლისამე ქალაქის ან სოფლის მრევლს მთავრობისაგან მინიჭებული უფლება არსებაში მოეყვანოს.

დებულება უფლებას აძლევს ყოველს მართლ-მადიდებელ მრევლს თვისი ეკკლესია და სამღვდელოება კეთილად მოაწყოს, გამართოს სამრევლო სკოლა, შემწეობა აღმოუჩინოს თავის ღარიბთა, გამართოს მათთვის თავ-შესაფარი, საავადმყოფო და სხვა ქველ-მოქმედების დაწესებულებანი, შემწეობა აღმოუჩინოს უქონელ მიცვალებულს დამარხვისა და სხვანი.

ამ თვრამეტ წელს, **დებულების** გამოცხადების შემდეგ, რამდენს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს სოფლებს და ქალაქებს, რომ ამ **დებულების** ძალით მრევლს ზრუნვა დაეწყო თავის საზოგადო საქმეებისათვის. ეხლა ხომ სულ ცარიელები არ ვიქნებოდით და ყოველ გვარ საზოგადო საქმის უჩვევარნი. ამ მრევლში და მზრუნველობაში შეერთდებოდენ სამღვდელო და ერის კაცნი, მდიდარნი და ღარიბნი, თავად-აზნაურნი და გლეხნი. ნუ დავივიწყებთ იმ გარემოებასაც, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენის სოფლებისა პატარა სოფლებია და ამ გვარი შეერთება ყველა წოდებისა მომატებულ ღონის-ძიებას მისცემდა სოფელს, ვიდრე ეხლა, როდესაც სოფლის საზოგადო საქმეებს, მაგალითად სკოლას და სხვას, მხოლოდ გლეხ-კაცების მოვალეობადა სთვლიან.

რამდენად უსარგებლოდ ჩაუვლია ამ თვრამეტ წელს ჩვენთვის, ამას გვიჩვენებს ის გარემოება, როდესაც დავხედავთ ჩვენში მცხოვრებელ სომხებსა.

ჩვენ ეხლა ვხედავთ ყოველ სომხის ეკკლესიასთან სამრევლო ვაჟებისა და ქალების სკოლებს, რომელთაც მრევლისაგან კარგი შემწეობა ეძლევა, ჰყავთ კარგი მასწავლებლები, ეკკლესიის სამღვდელონი უკეთესად მცხოვრებნი, თვით ეკკლესიები შნოთი და ლამაზად მოწყობილები. რისგან მოხდა?

იმისგან რომ თითქმის იმავე დროს, როდესაც მოხსენებული „დებულება“ გამოვიდა, სომხის ეკკლესიის მრევლთა მოისურვეს და შეუდგენ სამრევლო საქმეების ზრუნვასა, და ნელ-ნელა იქამდე მოიყვანეს საქმე, როგორც ახლა ვხედავთ. ნუ დაივიწყებთ, რომ სომხები ჩვენში მოსულები არიან, მკვიდრნი მცხოვრებელნი არ არიან და ამიტომ უცხო ხალხში დასახლებულს უფრორე ყოველთვის უძნელდება რისამე გარიგება, ვიდრე მამა-პაპის ქვეყანაში დასახლებულს, თავის მეგვარ ტომე ხალხში მცხოვრებელს და მასთან სარწმუნოებით შეერთებულს. სომხებს რომ დაეწყოთ ქართველებსავით ყოველ საზოგადო საქმეში სუსტი მხრის ძებნა და იმას გამოსდგომოდენ, დღეს ისინიც ხელცარიელები იქნებოდენ, როგორც ქართველობაა.-არა, სომხები შეუდგნენ სამრევლო მზრუნველობის საქმეს, გავარჯიშდენ საზოგადო საქმის კეთებაში და ამ ჟამად სხვა ქველ მოქმედებით, ლიტერატურის, თუ სხვა, სასარგებლო საქმე იმიტომ ბეჯითად და მკვიდრად მიჰყავთ.

წარსულმა დრომ დაგვანახვა ჩვენი შეცდომა, დაუბრუნებლად დაგვეკარგა თვრამეტი წელიწადი. ახლა კი დროა მოვისაზროთ და მაინც მომავალს პირს ნუ შევუბრუნებთ. სულ არ დაწყებას, სჯობს ეხლა მაინც შეუდგეთ საქმესა და სამრევლო მზრუნველობას ხელი მოვკიდოთ. ეს ისეთი საქმეა, რომელიც სასულიეროც არის და სახორციელოც, ყველა წოდების კაცს შეეხება, ყოველი წოდების კაცი ისარგებლებს, რადგანაც მთელის სოფლის ანუ ქალაქის მრევლის კეთილ წარმატებას დაეხმარება.

ამ საქმის დაწყება და ხელის მომართვა ეკუთვნის, მეტადრე სოფლებში, თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას; თითო ოროლი გულ მოდგინე ქრისტიანობრივის გრძნობით მოყვარის მოსიყვარულე კარგად შეიძლებს სამრევლო მზრუნველობის მოთაეობისა. შემდეგ ამხანაგებსაც იშოვიან, თუ ბეჯითობა და შრომა გამოიჩინეს.

დარწმუნებული ვართ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ეგზარხოსის პავლეს კეთილ განზრახულებაზე, რომ ამ სასურველ საქმეს უყურადღებოდ არ დასტოვებს და განვაცხადებთ ჩვენს აურვილს, რომ ჩვენს ეპისკოპოზებს და სამღვდელოებას მოაგონდეს ეს

მე და ვინ საკვირაო ფელტონების წერა, რომლის მწერალიც უთუოდ უნდა იყოს გამოცდილი ლიტერატურაში, ენა მჭევრი, ხელ-გაჩვეული, დაწმენდილი და „ობოლი მარგალიტივით ხელის-ხელ საგოგმანები“ სიტყვა წყალივით უნდა მოსდიოდეს!.. ვიცი, რომ საკვირაო ფელტონი უნდა იყოს მახვილი სუსხიანი, რომელმაც მკითხველი ცალი თვალით უნდა ატიროს, ცალი თვალით აცინოს და არამც და არამც ძილი არ მოჰგვაროს.

ჩვენდა ბედად პირველი ფელტონის დაწერა მომიხდა დიდ-მარხვა სინანულისაში, როდესაც მეც, და დარწმუნებული ვარ, ჩემი მკითხველებიც სულის საქმეზედ ვართ შემდგარნი და მეტი ოხუნჯობა და სიცილი, სხვას გარეისად, დიდი ცოდვაა. თუნდა რომ ძალიანაც დავჭიმო და ვაწვალო ჩემი ტვინი, მაინც მე ოხუნჯობა არ შემიძლიან და ჩემს მკითხველს სიცილი, ამიტომ რომ როგორც მე, ისე ჩემი მკითხველი ბოზბაშისა და მცვრიანი სუკების მაგიერ ლობიოს და ზეთის ხაშოს გიახლებით; ჩაიზედ, შაქრის მაგიერ, ქიშმიშს და ინდის ხურმასა ვხმარობთ და ჩვენი მაცხოვნებელი კახური ღვინის მაგიერ, რომელიც ყოველთვის სულს აღვიძებს, გულს ახარებს კაცისასა და ყველა სევდის უკუმყრელია, მღვრიე მტკვრის წყალსა ვსვამთ.

ცუდ დროს მომიხდა ჩვენ უიმისოდ მხიარულ ქალაქში ჩამოსვლა, როდესაც ყველა მარხულობს, ლოცვისა და სინანულის გზას შესდგომია და თავ ჩაკიდებული დადის! ამ მშვენიერ დღეებში ქალებიც აღარ ამშვენებენ ჩვენ ბულვარს, რომელნიც ეხლა მაისის პეპელებივით უნდა დაფრინამდენ...... რამდენჯერმე ავიარჩამოვიარე ბულვარზედ და სულიერი მამების მეტი ვერავინ დავინახე, რომელნიც დილით საღამომდენ შავი ყორნებივით გამწკრივებულან სკამეიკებზედ და დაღალულ კაცს დაჯდომა ვერსად მოუხერხებია. ვითომ ამათთვინ ჯერ დიდი-მარხვა არ დამდგარა?

ჩემმა ნაცნობებმა დიდის მწუხარებით შემომტირეს: ჩვენთვის გასართობები და შესაქცევი თეატრი კი აგვიკრძალეს და კინტოების შემაქცევარი ცირკი ყოველ ღამე გრიალებსო. მე ნუგეშის მაგიერ, ბატონებო, ამას მოგახსენებთ, რომ თუმცა კინტოებს საზოგადოდ გარყვნილობის და ავ-კაცობის სახელი აქვსთ დავარდნილი, მაგრამ თქვენი გარყვნილობა ათი ადლითა სჭარბობს მათსას, და ამიტომ სიმართლე მოითხოვს წელიწადში შვიდ კვირას მაინც ჩაგიკეტონ სასიამოვნო ალაგების კარი.

მოწყენილი და ბევრი მარხულობით დამაშვრალი წაველი, ესრედ წოდებულ, ტერმინების კომისიის სხდომაზედ ბევრი მარხულობით დაქანცული ცოდვილის სულის გასართობლად. პირველ ფეხის შედგმაზედვე გულს ლახვარივით მეცა იმ სენის სრული მეფობა, რომლიდანაც არ იქნა ვერ განვთავისუფლდით. მე მოგახსენებთ ქართველების ყრილობაზედ უცხო ენით ლაპარაკზე... მომაგონდენ ამ მხრით პოლიაკები და შურით ანთებულმა გულმა წიწკნა დამიწყო. ახ, რამდენი რამე შეგვეძლო გვესწავლა პოლიაკებისგან, მაგრამ ცუდს უფრო მალე ვითვისებთ ხოლმე, მინამ კარგს!

ახირებულად კი იკვლევენ ეს კურთხეულნი ამ ტერმინებს! ტერმინების გამოკვლევა კი არა, ეს, თუ სწორე თქმისთვის არ გამიწყრებით, წყალნაყიას და ბუზა-ბუზაობის თამაშობაა. შეიყრებიან მოუმზადებელნი და ანბანის მცოდნიდან რომელიმე მეცნი-

დებულება, სასურველია რომ ერის კაცთაც, მეტადრე თავად-აზნაურთა მათთვის მხარი მიეცეს ამ კეთილ საქმეში.

კიდევაც გავიმეორებთ, რომ სამრევლო მზრუნველობა სოფელს შესამჩნევ წარმატებას მისცემს და ხალხს შეაჩვევს ერთად, წოდების და შეძლების გაურჩევლად, საზოგადო საქმის გაკეთებასა, უფრო ერთმანერთში სიყვარულს ჩამოაგდებს და ეხლანდელ უპირობას, შურს, ერთმანერთის მხეცურ მტრობას, თუ სრულებით ვერ მოსპობს, რამდენადმე დაეხმარება მაინც მის შემცირებასა. ნუ დავივიწყებთ, რომ მრავალ ეხლანდელ ჩვენ სოფლებს, სიმცირის გამო, ვერავითარი ღონის ძიებაც კი არა აქვთ, სხვა რაიმე მოაგვარონ სამრევლო მზრუნველობას გარეითად.

ზ.

დღიური

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მართველობას მოსვლია ერთის საპატიო სკოლის მზრუნველისაგან—ბათუმელ ბეგისაგან ქაღალდი, რომლითაც ეს უკანასკნელი სთხოვს მართველობას, რათა მან იშუამდგომლოს ბათუმის ადგილობრივ მთავრობასთან და გამოსთხოვოს მას სასკოლო ადგილი იმ ადგილის მაგივრად, რომელზედაც უწინ, ოსმალთ მფლობელობის დროს, სკოლა, ანუ მედრესი ჰქონიათ თავიანთი და, რომელიც ეხლა თურმე დამოქნად არის გადაკეთებული და ადგილიც სახაზინოდ შერიცხული.

მთავრობამ შეიწყნარა ადგილობრივ მაჰმადიანთ ქართველთა თხოვნა ამ საქმის შესახებ—იწერება თურმე ზემოხსენებული სკოლის მზრუნველი—ბეგი, მხოლოდ მიწის მოცემის მაგივრად, ფულის მოცემას გვპირდებიან, მაგრამ ამასაც მაშინ მოგცემთ, როცა დამოქნას ავაშენებთო. ამ საგნის შესახებ სთხოვს ბ. ბეგი შუამავლობას „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

⁂

თელავის მაზრის სოფ. ყვარელიდამ, გვწერენ, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი სასოწარკვეთილებას მიეცნენ, იმის გამო, რომ წელსაც იმ ნაირსავე ამაოხრებელს და მაზარალებელს კალიას მოელიან, როგორც იყო შარშანაო.

შარშან ამ კალიამ ბევრი გლეხის და თავადების ვენახები გაანადგურაო, მაგრამ ამათ მოსასპობლად არავითარი საშუალება არ უხმარნიათ არც მცხოვრებლებს და არც ადმინისტრაციასაო. მართალიც უნდა ვსთქვათ, ძნელიც იყო რისამე საშუალების მიღებაო ამათ მოსასპობლად და ყოველი მეცადინეობაც ამაო იქნებოდა მაშინ, როდესაც ფრთა შესხმული კალია ერთი ვაზიდამ მეორეზედ ადვილად დაფრენდაო. ამ შემთხვევაში თითო თითო კალიის ცალკე გაწყვეტა მოგვინდებოდაო, რადგანაც სხვა ყოველი საშვალება თვით ვენახის უფრო მაზარალებელი იქნებოდა, როგორც მაგ. ცეცხლი ან სხვა ამგვარები.. ყველაზედ გონივრული იქნებაო, რომ ამ საშინელის ვენახის მტრის გაწყვეტას ეხლავე შეუდგნენ, რადგანაც ის ჯერ კვერცხებიდამ არ გამოსულა. იმათი ბუდის ნახვაც არ არის ძნელიო. მხოლოდ, რასაკვირველია ამას ცოტა ოდნად დროზედ თვალების გახილება და ხელის განძრევა ეჭირებაო.

ამ შემთხვევაში, რასაკვირველია ყველაზედ უფრო უნდა ეცადნენ თვით მცხოვრებნი და მამულის მეპატრონენიო, მაგრამ დღეს რადგანაც, საუბედუროდ, ჩვენი ხალხი ისეთ ნაირად არის დაჩვეული, რომ თუ მეუფროსემ არ უბრძანა თავის თავად სასარგებლო საქმეზედ არ გაინძრევა არ იქნება ურიგო, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამაც მიიღოს მონაწილეობა და რაც შეიძლება მალეც, თორემ, „რა კი ურემი გადაბრუნდება, მემრე გზის მონახვა გვიანღა იქნება“.

⁂

გასული კვირის განმავლობაში ბაქოს გაზეთებში თითქმის ყოველს ნომერში იწერებოდენ იმ არეულობაზედ, რომელიც ბაქოში მომხდარა მაჰმადიანებთ და მუშა ხალხ—რუსის „მუჟიკებს“ შორის. რაღაც უბრალო მიზეზით ისეთი შეტაკება მომხდარიყო, რომ ჯარიც საჭირო გამხდარიყო, დაემშვიდებინა გაავთრებულ მაჰმადიანებსა და გალოთებულ მუჟიკებს შორის ომი-ფიცხელი.—ეხლა ამდგარან თურმე ყველა შეძლებული მაჰმადიანები და დაუთხოვნიათ მოსამსახურე რუსის მუჟიკები, რომელიც ამ ჟამად ყოვლის უსაქმოდ დაეხეტებიან ქალაქის ქუჩებში—ვერაფერს საქმეს ვერ შოვობენო.

⁂

„კასპი“ იწერება, რამდენიმე პირს განუზრახავთ ლენქორანის მაზრაში იჯარით აიღონ 50 დესეტინა ადგილი ჩაის მოსაყვანად.

⁂

ჩვენ მივიღეთ პირველი წიგნი „**საყმაწვილო ბაღისა**“, რომელიც გამოიცემის ბ. ზ. ჭიჭინაძის მიერ. წინასიტყვაობაში ბ. ჭიჭინაძე გვპირდება, რომ რამდენადაც გარემოება ნებას მისცემს ხშირად გამოსცემს ამ გვარ წიგნებს. ეს პირველი წიგნი ცოცხლად არის შედგენილი. აი, თვით შინაარსი: ა) აღდგომის შაბათი, საყმაწ. კამედია—პ. იეზოვისა; ბ) ნიკო და ლიზა (მოთხრობა, ნათარგმნი)—ვანოსი, გ) რთველი (მოთხრობა) ი. ცისკარაშვილისა; დ) ვედრება პატარა გლეხისა (ლექსი)—ნ. ლომაურისა; ე) სიმღერა (ლექსი)—ი. დავითაშვილისა (გლეხისა); ვ) ამოცანები; ზ) მთხოვარა ბავშვი (ლექსი)—თ. სოლომონისა; ჱ) იგავ არაკნი; თ) დედის ამბავი (გოფმანისა)—რ. ჯაჯანაშვილისა; ი) ამოცანები; ია) ობოლი (სახალხო ლექსი); იბ) ვარდი და ეკალი საყმაწვ. ზღაპ.—აკაკისა; იგ) წინასიტყვაობა—ზ. ჭ—სა.

უცხოეთი

საფრანგეთი. საფრანგეთის საქმეები კიდევ ვერ დალაგდა. თან-და-თან მატულობს რევოლიუციური მოძრაობა. აგერ იკრიბება აუარებელი ხროვა მუშა ხალხისა. აქვე არის ლუიზა მიშელ, ეს დაუცხრომელი დედაცი და თავის სიტყვებით აღშფოთებაში მოჰყავს ეს ხროვა. თითქო დრო იხელთეს მონარხიელებმა. ამათი გაზეთები დიდს მნიშვნელობას აძლევენ ამ ხალხის კრებათ. ბუზს ლომად ხდიან. აქ ხედვენ დასაწყისს სოციალურ რევოლიუციისა, რომელმაც ძირი უნდა გამოუთხაროს ეხლანდელს უვარგისს, უძლურს რესპუბლიკურს წყობილებას საფრანგეთისას. დრო დაუდგათ კლერიკალებსაც: შეძლებულ წევრთ საზოგადოებასა ურჩევენ, მოუარონ თავიანთ ქონებას; ახლოვდება დრო არეულობისა და ხელიდამ ნუ გაუშვებთო შეძენილს. ერთ ამ გვარ ხალხის კრებისა გამო, აი, რა წარმოსთქვა პალატაში დეპუტატმა, ბონაპარტიელმა პოლ-კასსანიაკმა: „გუშინდელი დღე (დღე კრებისა)—იყო დასაწყისი. ბრალდებულნი არიან აქ, ამ მანიფესტაციაში უკიდურესი მარცხენა დასი და პარიჟის კომუნაში მონაწილეთა განთავისუფლება“. მონარხიელებს უსამართლოდ ედებათო ბრალი, წარმოსთქვა კასანიაკმა, რომ ვითომ ისინი მხარს უდგნენ ამ ანარხიულ მოძრაობას, ერთი მხოლოდ რესპუბლიკელები არიან დამნაშავენი აქაო.—„მუდამ, განაგრძობდა ის, როდესაც კი ფერრი ხელთ-იგდებს საფრანგეთის საქმეების მართვას, ჩვენ ქვეყანაში გამეფდება სიმშილობა“.—ამ სახით აძაგებენ რესპუბლიკის მოწინააღმდეგენი ეხლანდელ მართებლობას საფრანგეთისას. მაგრამ ეხლა გაიხედეთ რა პასუხს ახლის ამათ ის ხროვა ხალხისა, ის კრებანი ლუიზა მიშელის მეთაურობით: „გაუმარჯოს კომუნას! გაუმარჯოს თავისუფლებას“! „ჩვენ ხომ ცხვრები არა ვართ, აგვიხვიან თვალები და საითაც არ გვწა-

---

ერების წარმომადგენლებამდე და ყველანი ერთად იმტვრევენ თავებს: ესა-და-ეს მატემატიკური ტერმინი ქართულად როგორ გამოიხატებაო. ჭკვიანური და სულელური სიტყვების სრული ბევრია. შემდეგ რომელიმე ერთ სიტყვას დაადგებიან და იმის სიკარგ-სიავეს ხმის უმეტესობით გადასწყვეტენ. ხმის უფლება ყველას თანასწორი აქვს და ამ მოსაწონი პრინციპიდან ამ შემთხვევაში ის უხერხულობა გამოდის, რომ ზოგიერთი უნდილი ყმაწვილების ჯიუტობის მორეკასა და ლიჯინში ერთობ ბევრი დრო იკარგება. მაგალითად, თითქმის ნახევარი საათი ილაპარაკეს იმაზედ, რომ შეკუმშვა შეიძლება ითქვას ხოლოდ ნივთიერ საგანზედ და შეადგენს ფიზიკურ მოვლენას, მაშასადამე მატემატიკურ ტერმინად არას დროს არ გამოდგება, მაგრამ სალი ჭკუის და ლოღიკის საბუთები დარჩენ ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა ამ მოუდრეკელი ყმაწვილებისათვის და ბაასი კიდევ შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

გუშინდელი სხდომიდან რაც შთაბეჭდილება მე გამოვიტანე, გულწრფელად და გატეხილი ამას მოგახსენებთ: როცა თქვენ მაგ ფეტვიდან მჭადი გამოაცხოთ, მე ნულარ მაჭმევთ. ტერმინების კამისიას მაინც ურჩევ თავის სხდომებს ნუ მოჰშლის, რადგანაც ესეთი დროს გატარება ფრიად სასარგებლოა, როგორც პირადი ინტერესებისათვის, ისე ქვეყნისთვის, რადგანაც მისი წევრები შინ რომ დარჩენ, ორში ერთს უნდა მიჰმართონ: ან სმას და ბანქოს, ან გამარტოებით ფიქრს. პირველიდან წარმოსდგება: ლამის-ტეხა, უძილობა, რამდენიმე ჯიბის ერთ ჯიბეში გადაცლა და სხვა ავი რამ. მეორიდან, ე. ი. ფიქრიდან, როგორც ამტკიცებს რუსეთის გამოჩენილი მეცნიერი კუროცაპ ბრაცციანოვი წარმოსდგება ყველა უბედურება ქვეყანაზედ.

ამიტომაც ამ ბოლოს დროს ევროპის ყველა სახელმწიფოების სრული ძალა და ღონე იმაზეა მიქცეული, რომ ფიქრი და აზროვნება სამუდამოდ მოისპოს ქვეყანაზედ. ვინც მუდამ მღერის, ის ცუდს არ განიზრახავსო, სთქვა რუსეთის სახელოვანმა იმპერატრიცა ეკატერინემ. ამიტომაც არტისტებს, თუმცა ჭკუის სახელი ჯერ არსად დაჰვარდნიათ, მაგრამ სახელმწიფოსთვის ფრიად სასარგებლონი არიან.

რასაკვირველია, უფრო სასარგებლოა შუა ღამემდე ბაასი—შეკუმშვა სჯობია, თუ შემოკლება, ანუ ლუწი კეთილ საიმედო და ზნეობიანი სიტყვაა, თუ არა, მინამ შინ ჯდომა, სადაც გამარტოებული კაცი ეშმაკმა იცის რაზედ არ იფიქრებს. მაინც ღმერთმა ააშენოს ტერმინების კომისიის სეკრეტრის ოჯახი—იმდენი მოწყენილი და ნამარხულევი ხალხი გაგვამხიარულა. რუსთველი რომ ამბობს ენა-დაუშრომელი და მოუბარი წყლიანიო, სწორედ ისა ყოფილა! აღარც თავსმჯდომარეს აცლის და აღარც კომისიის წევრებს...

თეატრის მაგიერობას ახლად გამართული ცხენ-რკინის გზა შვრება. წყალკურთხეობასაც არ მინახავს ისეთი თავების მტვრევა, როგორიც ეხლა არის ხოლმე მიხაილის ქუჩაზედ ვაგონებში ჩაჯდომის დროს. ნამეტნავად ქალებმა გაჭირეს საქმე. ამ დალოცვილებს ჰგონიათ სალონებში ვართო: აქაც კავალერობას თხოულობენ და მეტად წყრებიან, თუ კაცმა ალაგი არ დაუთმო... თუ კაცებს ჰსურთ თავისუფლად გასეირნება, რომ ქალებმა არ შეაწუხონ, ქალებს უთხრან ხოლმე: ჯერ ის დაბრძანდეს, ვინც წლოვანობით უფროსია! მაშინ მერწმუნეთ, სულ თითო-თითოდ გაიპარებიან და ერთიც აღარ ჩაჯდება...

დავით სოსლანი.

დის იქით მივემართონ“!—„თუ მომკვლენ, გასძახის ლუიზა მიშელ, მოვრჩები, აღარ ვიქნები მოწამედ ამ ათას გვარ უსამართლობასა. მოქალაქენო! დღეს შემოვიაროთ მთელი პარიჟი და მოვითხოვოთ პური და სამუშაო! გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას!—„ლუიზა მიშელს ჰკითხეს: რად მიუძღოდა ის იმ ხალხის ხროვას, რომელიც ელისეის სასახლისაკენ მიემართა.—მე იქ არ ვყოფილვარო, მიუგო ლუიზა მიშელმა. მე ანარხიელი ვარ და ანარხიელებთ კი არა სწამთ რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელმწიფება და მაშ არც არა-რა თხოვნას მისცემენ მას. ეს ხელმწიფებაა, რომელსაც ჩვენ უარ-ჰყოფთ, რომელსაც დავამხობთ...

კერძო საავადმყოფო

კუკიაში, ხემთინოვის ქუჩა, ასკვრდოვის სახლი.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 საათიდამ $10\frac{1}{2}$-მდის ნავასარტიანც—ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, უმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; $10\frac{1}{2}$ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდის უშაკოვი—უმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, პსიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ. - შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდის. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ექ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიაფუსის ხელმძღვანელობით.

განცხადებანი

გოლოვინის პროსპექტზე, ანტონოვის სახლებში „ლივადიის“ სასტუმროში, გაძლევთ მებელით, სამზარეულოთი და მოსამსახურით ოთახებს, თვეობით 15 მანეთიდამ 60-დის, დღეობით—ოთხი აბაზიდამ—სამ მანეთამდის.

მიხაილ ხარებავა.

10—3)

ლითოგრაფიული სურათი

თამარ-მეფისა

იყიდება შტეინკოს ლითოგრაფიაში, გოლოვინის პროსპექტზე, ტრიგულოვის სახლებში. ფასი თითო ეგზ. 50 კაპ., ვინც ასს ეგზ. იყიდის—30 კაპ. (3—2)

ვაჭრობა ყირიმის მარილითა

ი. მ. ლუცკისა ბათუმში

მაქვს პატივი საყოველთაოდ გამოვაცხადო, რომ მე დავიწყე ვაჭრობა საუკეთესო მართლითა ყირიმის ტბებისა. და იმედი მაქვს, რომ გახსნისათანავე სამტრედია-ბათუმის რკინის გზისა, ბ.ბ. სხვა ქალაქის მყიდველნი უფრო მოხერხებულად დაინახვენ ჩემგან ივაჭრონ მარილი, რომელიც მუდამ ბლომად მაქვს მზად, სანამ ფოთიდამ.

(3—2) ი. ლუცკი.

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამომყვანი მაქმასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—53)

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ახალი

წიგნის მაღაზია

არწრუნის გალერეია № 149, 150 ბ. ჯუგაბადარის ბიბლიოთეკასთან

იყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანელო და ლიტერატურული.

ყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველგვარი წიგნები.

აქვე იყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—17)

საყდე-გალანტიური

სახელოსნო

ილ. ჭყონიასი, ქუთაისს, თ. დ. მაჭუტაძის სახლში, მოწყობილი უახლესის სისტემის მაშინებით ასრულებს შესაკვეთთა აღსრულებას 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვები. ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა შეკვეთილნი თუ 25 მანეთისას აღემატება, სახელოსნო ასრულებისათანავე დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ თავის ხარჯით.

იმავ შენობაში იმყოფება

ბიბლიოთეკა

თ. ა. ლორთქიფანიძისა, ილ. ჭყონიასაგან იჯარით აღებული. ხელ-მოსაწერი პირობები ფრიად ხელ-მისაცემია. ბიბლიოთეკას შეემატა ახალი წიგნები. (20—15)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

სახელმძღვანელო რუსული ენისა ქართველთათვის, შედგენილი გ. ყანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (**съ удареніями**) და იყიდება გამომცემლის ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ. ვისაც ცალიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. ჭიჭინაძის მაღაზიაშივე იყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ყოველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუყოვნებლივ.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და იყიდება ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. მასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურადა. ცალისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შევსებული გამოცემა; იყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურადა.

არწრუნის თეატრი

კვირას, 13 მარტს

ქართული [illegible]

ლიტერატურული

საღამო

მონაწილეობას მიიღებენ:

კ-ნა ნ. ორბელიანისა, კ-ნა ბ. ავალოვისა, ქ. ანდრონიკოვისა,—კ. ყიფიანი, კ. მესხი, ა. მოხევე, თ. ნ. ჯორჯაძე და ხორო ქართული სიმღერებისა ბ. ბალანჩივაძის ლოტბარობით.

I

განდეგილი

ახალი პოემა თ. ილ. ჭავჭავაძისა, წაიკითხავს კ. ყიფიანი.

II

კაცია ადამიანი

ერთს სცენას წაიკითხვენ—კნ. ნ. ორბელიანისა და თ. ნ. ჯორჯაძე.

III

დემონი

პოემა ლერმონტოვისა, თარგმ. თავ. მამია გურიელისა.

თამარი . . . კნ. ბ. ავალოვისა.
ანგელოზი . . . . . N. N.
დემონი . . . . . . კ. მესხი.

IV

დივერტისმენტი

ლეკური

ქ-ნა მ. ანდრონიკოვისა და ა. მოხევე.

დასაწყისი 8 საათზედ.

ბილეთები იყიდება კასაში.

საავადმყოფო

ექიმის პავლოვსკისა

კუკია, მოსტოვაიას და ელისავეტის ქქ. კუთხეში, ადრინდელი სახლები სლინკოსი, ვარანცოვის ძეგლის მახლობ. მუდამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9—10 საათ.: მ. ვ. ლუნკევიჩი თვალის, ვენერიულ და ხირურგიულ ავად მყ., 10—$11\frac{1}{2}$-დის ქალი-ექიმი ა. ვ. სამოილოვიჩისა ქალის და უმაწვილის ავდა-მყ., $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათამდის ა. ა. პავლოვსკი, ნერვულ და შინაგან ავად-მყ.; საღამოს: 4—5 საათამდის ე. ს. ბაბოვი შინაგან ავად-მყ., 5—6-დის ა. ა. პავლოვსკი ელექტრო-ტერაპიიდამ. ფასი რჩევისათვის 50 კ. ღარიბთ მუქთად ემლევათ რჩევანი. ავად-მყოფის სურვილით შესდგება კონსულტაცია. საავად-მყოფოში არის კეფირი.

დირექტორი, ექიმი ა. პავლოვსკი.

(20—2)

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

საყმაწვილო ბაღი

№ 1

საყმაწვილო დრო-გამოშვებითი გამოცემა, გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ. მოსწავლეთათვის 20 კაპ.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში იყიდება.

საქართველოს სამოთხე

გამოცემული მიხეილ საბინინის-მიერ. ფასი ყველგან ჩვიდმეტი მანეთი. გარეშე პირთ შეუძლიანთ მიმართონ ბ. ზაქარია ჭიჭინაძეს, აღნიშნულის ფასით.

Позволено цензурою. Тифлисъ, 12 Марта 1883 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი

ეროვნული ბიბლიოთეკა